ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №4175756

ნომერი: AR1631221

თარიღი : 17.09.2018

გაცემის თარიღი : 18.09.2018

გაცნობის თარიღი : 18.09.2018

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , 26 მაისის სახელობის მოედანი, სასტუმრო "აჭარა"-ს მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნინო გუჯაბიძე პ/ნ 01024065193
- თბილისი დიდი დიღომი III მ/რ კორ. 2 ბ. 57

ორგანიზაცია:

- ავიატორ კოდი: 405076304

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

# გადაწყვეტილება

თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ, რომ როგორც სამსახურის 17.09.2018წ. №4172394 გადაწყვეტილებით გეცნობათ, თქვენ მიერ არასწორად ხდება ნომენკლატურის შერჩევა. ვინაიდან წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად ხდება სამსახურის 11.09.2018წ. №4160765 გადაწყვეტილებით წერილობითი დასტურით გაცემული აბრის კორექტირება (რომელიც ამჟამად არ არის განხორციელებული), საჭიროა ქმედებაში არჩეულ იქნას არა რეკონსტრუქცია, არამედ კორექტირება და დასახელების შესაბამისად შეავსოთ შესაბამისი ველები. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას საკითხი განიხილოს რეკონსტრუქციის კუთხით.

---

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.